


გერბგერბი

საბჭოთავო
საბჭოთავო

კულაკი



— ამბობენ: „კულაკები თავს სწვენ ღარიბების წინააღმდეგ“... თუ საქმე აწევაზე, ზე ისევ ამ შჯილის აწევას ვამჯობინებთ..

თავალმასობის თ-რის ანგარიში

ჩ უ მ ა ლ

ამას წინელ პარისში ვაიმარია საფრანგეთ-გერმანიის საიდუმლო თათბირი, რომლის შედეგები პრესაში არ გამოქვეყნებულა. თათბირზე ირჩეოდა ზოგიერთი საკითხები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.
ლბე შებიდან.

— ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს უაღრესად დიდი მიღწევები ამ ორი წლის განმავლობაში...

აღმშენებლობის დარგში შემდეგი მიღწევებია: საფუძვლიანად შეკეთებულ იქნა ჩემი კაბინეტი; შეძენილია დიდი საწერი მაგიდა, რომელსაც აქვს 5 უჯრა; აგრეთვე—მარმარილოს ქვის სამელნეები, რომლებშიც სამი ფერის მელანი მაქვს; გამოკვებულა ჩემი ცხენი ლაფშა; შეძენილია „კავკასის“ უნაგირი კეხით; გაყვანილია სინათლე თავლაში და სხვ. მაგრამ, მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, ამხანაგებო, შეიძლება გვიქნეს დეფექტიც, რასაც, ცხადია, მე ვერ შევამჩნევ. თქვენ ამას აღნიშნავთ და მე ვეცდები ახლად არჩევის შემდეგ გამოვასწორო ყოველივე თქვენს მიერ აღნიშნული ნაკლი.

კრემლის თ-რე: ამხ-ო, ჩვენ მოვისმინეთ თემ-აღმსკომის მუშაობის ანგარიში, როგორც ხედავთ — მიღწევები დიდია. მე მაინც ვფიქრობ შეკითხვები საჭიროა.

კითხვები და პასუხები:

კითხვა: როგორ მიმდინარეობს სოფლად გზების შეკეთებისა და გაყვანის საქმე?

— გზების შეკეთება, ამხანაგებო, ძალიან საჩქარო საქმე არაა იმიტომ, რომ რაც გვიან გავაკეთებთ გზებს, მით უფრო დიდხანს გაძლებს.

კითხვა: რატომ არ გავაკეთებთ ხიდები და ბოვირები წყლებზე?

— ხიდი, ამხ-ო, არ გავაკეთებთ და არც ვფიქრობთ გაკეთებას, რადგან სულ ერთია, წყალი ისევ წაიღებს.

კითხვა: რაშენად გამოყენებულია სოფლად შრომის ბეგარა?

— ბეგარის საკითხი მოგვარებულია. არ დარჩენილა არც ერთი ღარიბი და უღარიბესი გლეხი, რომ არ გავეწვიოს სამუშაოზე. საშუალო და შეძლებული გლეხობა აღარ გამოგვიწვევია ბეგარის მოსახდელად, რადგან აღარაფერი დაგვრჩა გასაკეთებელი — ყველაფერი ღარიბ გლეხობამ გააკეთა.

კითხვა: რატომ არ შეაკეთებთ სკოლა, რომლისთვისაც ფული შეკრებილი იყო?

— სკოლა არ არის შეკეთებული იმიტომ რომ შეგროვილი ფული შეიჭამა, ხოლო ვინ შესჭამა ეს ჩვენ არ ვიცით (სხვის საქმეში ჩვენ არ ვერევით).

კითხვა: რა ზომებს ღებულობდით, როცა საბჭოს ზოგი წევრი ყალბ საბუთს აძლევდენ სხვებს?

— ამხ-ო, თუ ჩვენ გვეტყოდა საბჭოს წევრი, რომ მან ყალბ მოწმობაზე ხელი მოაწერა, იმ საბუთს იმ წუთშივე დავხვედით და არ მივსცემდით ბოროტმოქმედების საშუალებას.

— კითხვა: რატომ არ არის დაცული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები?

— ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები დაცულია და მშვენიერი ჯიშის ხეებიც მოგვეპოება. მაგალითად, ჩემი სახლი, თქვენ იცით, წმინდა წაბლსა და მუხისაგან არის გაკეთებული და სულ იქ მოჭრილია — ადგილობრივ ტყეებში.

— კითხვა: მიწის ყიდვა-გაყიდვას რატომ არ ვბრძობთ?



— ჩუმად, თორემ რადიო გავვიგებს და „იშთ“ ყველაფერს შეატყობინებს.

— მიწის ყიდვა-გაყიდვისათვის, სიმართლე უნდა ითქვას, თვალყური არ მიდევნებია და ეს ჩემი შეხედულებით, არც დანაშაულობაა, თუ კი ღარიბი გლეხი ქონებას შეიმატებს, ამით მდიდარი ღარიბდება და ღარიბი გამდიდრდება.

კითხვა: რატომ სუსტად ატარებდით სხვადასხვა კამპანიებს?

— ამხ-ო, ეს სიცრუეა. მე პირადად ბევრი „კამპანია“ ჩამიტარებია: ღვთისობლობას ჩემი ტოლიბაშობით ისეთი დრო გავატარეთ, რომ თემში უკეთესი არ მომხდარა, თუმცა ჩვენმა უჯრედის მდივანმა შემოკრა ერთ ქეციან მღვდელს, მაგრამ ეს ანტირელიგიური მოსაზრებით იყო?

თ ა ვ ა ზ ი ა ნ ი

ჩვენსი სიყვარული



— გაინახე და მაჩუქე პაღტო, თორემ თუ დაგავლე ხელი, აქედან დი-
ლომში გადაგისვრი.

ამ უკანასკნელ ხანში,
მეც მომივიდა შუწა;
ჩემსა გარეშე; არვინ
არ მიმაჩნია ბუზად!..
თუმც მართალია, არსად
არ მისწავლია ქვეყნად,
მაგრამ რითმებით, ბასრად
ვიწყებ ყველასთან კვეხნს.
გუშინ ბათომში ვიყავ,
ზღვასთან ოცნება ვიწყე;
ლექის წერის დროს, იცით?
მემატვის ტვინში სიცხე!
საქართველოში მხოლოდ
ვიცნობ ღვანკითელ ვარდენს;
როცა შევხვდები სადმე,
გაუფენ გზაზე ვარდებს!
ევგენი დიკალის შიშით,
ტანს ერთანტელი მივლის;
მან რომა მცემა ერთხელ,
მიტომ გავშორდი ტფილისს.
გამოქვაბულში ვცხოვრობ,
ლექით ვიქარებ ვარაშს;
მწუხარეთ დავალ ტყეში,
ტერენტის ქრისტე მფარავს.
ოზურგეთ შემეყვარდა
ერთი ლამაზი ქალი;
გულში ისარი მამხვდა,
ტრემლით მევესება თვალი.
ძნელი ყოფილა თურმე
ქვრივისა შეყვარება;
და პოეტისა უფრო
ტრემლი და მწუხარება.
ასე რომ შემეყვარდა,
ერთი ლამაზი ქალი:
აღბად, მას უღევს ბრალო,
რომ ვიწყე ლექსის წერა.
(მაშინ ჩამიქრა კერა).
ტარტაროზ! ერთი მითხარ,
შენ სულის სამართალზე:
მე კაცი ვარ თუ ვირთხა?
ჩაიწვი ოხ!.. ოხ!.. რაზე?!
ზორბა.

არჩევნების მოლოდინში

(ველისციხეში მომხდარ გასამართლებს გამო)

თავადი

ეჰ! მოგონებავ, მოგონებავ მხოლოდ შენ ერთი,
დავრდომილს, სნეულს წუთით მაინც თუ გამახარებ.
ულმერთო არ ვარ, მაგრამ დღეს მეც აღარ მრწამს
ლმერთი;

ბარემ ისა სჯობს, რომ ვეწვიო სამარის კარებს.

ბმრტმრა

სულ მოკლე ნუ ხარ ანდუყაფარ, ღმერთს ნუ შეს-
ცოდებ,

სჯობს მოთმინებით აღიჭურვო სიბერის დღეში.
შენდობა სთხოვე ყოვლის შემძლეს, თორემ იცოდე
კუბრს და ჯოჯოხეთს ვერ აცდება ეგ შენი ლეში.
განა მე არ მსურს დღესაც მქონდეს საკუროთხი-ტაბლა,
ისე ვცხოვრობდე, ვით შეშვეწის სულიერ მამას?
რა გაეწყობა ღვთის სურვილი ეს იყო აღბათ,
რომ შეგჩვეოდით გლუხებსავით ლობიოს ქანას!

კულაკი

ერთ დროს თავადი ცყოფილიყავ ძალიან მსურდა,
ობობასავით ჩემს გარშემო გავაბი ქსელი.
სხვისი ჭონება მცირედიც მე გულით მმშურდა.
ვიდრე ცხოვრებამ არ გამოქრა თავისი ცელი.
დიდი, პატარა დღეს მეძახის სოფლის წურბელას,
ხმა ჩამომართვეს, ეს ჩემს საქმეს უფრო აფერხებს.
როგორ ვიცხოვრო, ვეჯავრები ირგვლივ სულ ყველას.
ჩემი მიწები დაუთრავს უმიწო გლუხებს!..

ვაჭარი

დღეს ყველანი დავსდებით ბრალებულის სკამზე
და ამიტომ ბევრს ნუ ყბედობ, მეც მივდეთ ყური.
გაქვთ რამე გასაყოფი, რომ ასე მამბრანებთ!
— ჩემს ცოლშვილსაც ენატრება ყველი და პური.
გამიყიდეს ნალოვებში, რაც კი მებადა
და ამ რიგად გამაკოტრეს, დავრჩი მშვიერი;
შემჩრა მხოლოდ ეს მუცელი და ჭამის მადა,
ეჰ! მშებოჯან დრო გაგვიჭრა, დრო მშვენიერი.

დანადედი.

“ზ ე ღ ნ ი მ რ ი” მ ა მ ა



— ვენაცვალე ჩემს შვილს ისეთი დიდი კაცი გახდა, რომ სალამს სხვებს კი არა, — არც მე მაძლევს!

ი ა კ ი ნ თ ა შ ტ რ ი ნ კ ა კ ე

აფსუსს, აფსუსს ჩემო იაკინთე!
ვაი, დედი თქვენის ღმერთს! ახლა ვარ ასე ჩამოვლევილი, თვარა ერთ დროს მეც შტრინკი ბიჭი ვიყავი. კანკრაზი 11 წელს გახლდით მამასახლისათ აბა?!

რო ჩვეიცვამდი ჩემ ქვალ ჩოხას, ზოზო, გედვეკიდებდი ლესკურს, შემოვიკრამდი ქამარ-ჩანჯალს, გვეირვობდი კურტუმოში დამბაჩას და ჩავაზიაცკდებოდი. — ბერეგის, ჩემისანა ბიჭი მთელ დუნიაზე არ იყო. თქვენს ხელში წავხდი ბიძია, თვარა ერთ დროში მეც კაცი ვიყავი და ქუდიც მიხურა. (ებლა ქუდი კი არა, •ქვევნი გადავიდეს ჩაბალახიც ქი შამონებრიწა).

ეს ჩას იზამ ხვთის ნებაა ყველაფერი.

ახლა რათა, ბიძია, თავმჯდომარეობა! დღეს თავმჯდომარეობას თემში ყველა ქე შეასრულებს.

მე ერთი პოპოშნიკი მყავდა და ახლა ყველა მისი პოპოშნიკი არაა?!

ეს გზათა სექცია (სისხლი და ბაღდ მი აქცია მაგებმა), ეს კულტ-სექციაო, ეს ისო, ეს ესო (ტყვია და ლახვარი კი შეესო მაგათ გულ-ბოყვში)... რა ვიცი ათასი მამაძაღლობაა შემოდებული: ახლა კომპრომოლო, ქალთა დელეგაციაო, გლეხკომიო და რა ვიცი. ვინ ჩამოთვლის ბიძია რამდენი კუმი და კომია თავმჯდომარის პოპოშნიკი.

მე რო საქმე მქონდა დაყენებული, ისთე ნიბრიწ. გლეხებს პოპოშნიკს გოუზხანიდი, ჩემს ბძანებას თუ არ შეასრულებდა, დედის ღმერთს გავაცლიდი.

ეს! დაღუპულო იაკინთე, რა დრო გქონდა, შე უბედურო! შე ღურაქო, შე სუქინსინო, რას იზამ, ხვთის ნებაა ყველაფერი!

ახლა ბიძია რალაცა ორი კაპეიკი აქ გლეხებს გაწერილი და იმასაც ეფერებიენ, იმასაც მტრედობით ახდიებიენ. რა ბარაქა და დოლათი უნდა ქონდეს ამას ა?

უწინ? ასი თუმანი რო ყოფილიყო ერთ კაცზე, იმ ნიშუი იქნავე დეცინცკლებდი, მათი მტრედები და ჩაკონ-კალონი ჩემი მათრახი იყო.

პირის გემო არ ვიციოდი თუ? მოდიოდა და მოდიოდა ინდოურები, ქათმები, ბატები, შებრაწული გოჭები და კალმახები. ვლასი გოგოლა-შვილი და სხვა მღვდლები თავს იგდებდენ ჩემთან.

ვაი, დაღუპულო იაკინთე ერთი ნეტა პრასით გაგაძლო დღეს და სხვას ქე დაანებე თავი.

რას იზამ, ხვთის ნებაა ყველაფერი.

კომუნისტების ხელშიდაც მელირსა თემში თავმჯდომარეობა, მარა ცოტა ცოტა ხნით, (ისე ელირსა ყოველ ჩემ დამაწყევარს).

რალაც ფხარი უცვალა მათ იესო-

მაცხოვარმა და ქარ გავედი არჩენებში თავმჯდომარეთ?!

ჩვეიბარე ხელათ კაბინეტო, შოვარბენიე სახლიდან ზვონოკი (ხბოს ჩამოვალთიჯე ბიძია კისერზე, ხბოს). დავარღვიე ჩემი ძველი უზაგერი და შევიკერე პორთფელი. დავტრიალდი ნათესავ - მეზობლებში, გამოვლიოტე — ვის გახუნებული ცილინდრა, ვის შარვალი, ვის ბლოუზა, ვის პალტო და გამოვპრიშტინიე პატიოსან თავმჯდომარეთ. თუ ეს ტყვილი იყოს, ტყვია ეცეს ვასიკო ჯომართიძეს, რეალნი ეკლასის პადიეზდს რო მიუგავს იი ცხვირი.

პირველ დღეს პუწკათ ვიყავი, როგორც ახალი მოყვანილი პატარძალი. მეორე დღეს მოქმინაურდი.

მესამე დღეს შამოდის ვილაცა კომპრომოლა და მეუბნება: — „აფხანაკო თავმჯდომარე, გლეხკორთა წრე ბინდა ჩამოვაყალიბო და კრება მოიწვიეო“.

ამაზე ვაგებრაზდი. რა დროს გლეხკორია, შე მამაძაღლო, ჯერ არც კი დამდგარვარ და ახლავე ვაზეთებში შწერამთქვა?!

კომპრომოლა ავარდა და დააგვა პოლს. მეც ავარდი და მივაგვი პატალოქს. (ახლაც მტკივა თავის კოსრო). დევიღრიალე ჩემებურათ. მათრახის მოქმევა მინდოდა მარა ზვონოქს წამოუსვი ხელი, ზვონოქის მაგიერ ბოთლისთინ მიტაცნია ხელი და შიგ ლობში მიდღუზავს მძინარე ცოლისთინ. მორთო ქალმა კვილიჩხივილი. ასტყდა ბლარების ღრიალი.

აქეთ მამაჩემი გამობოკინდა, იქით დედაჩემი და შეიყარა ყველამ თავი ჩემ ლოგინთან. ერთხან გაშტურებული ეღვე ლოგინში. მალე გამევირკვი მიხვდნი, რომ ყველაფერი სიზმარში მოხდა და ბოთლი კი ცოლისთავს რაც ჯანი და ღონე მქონდა მართლა დამირტყამს.

წამოვხტენი. მევიცვი ჩოხის ნაგლეჯი. წვევიკარი თავზე ნაჩაბალახარი და გავარდი დობტურთან. კაი ვათენებული იყო პუნქტში რო მივედი.

ვეფუღუ კედელს და ვყურყუტობ. გვეხედუ გვერძე რალაცა უშველქებელი ქალაღლია აწუპებული და სწერათ: შავი სია. (გოუშავდა მაგათ სახე და ცხიმ-პირი). მომავალ საბჭოთა არჩენებში ხმის უფლება წართმეული აქვთ: იაკინთე შტრინკაძეს... და ერთი ოცამდი იყვენ ჩამოპყარებულები. კანკრაზ თავში მევექციე მაგ ძიწაში მოსაქცეველებს. ამფერ ამხდა ჩემი სიზმარი. ნეტეი ცოლი არ მომიკვდებოდეს, თვარა ვინ მამაძახლი ჩივა მაგას.

რას იზამ, ჩემო იაკინთე, ეგეც ხვთის ნებაა? არა, ჩემო ბიძია, აღარც ღმერთი მწამს და აღარც ხატი, მარა ეს კომუნისტობათ არ ჩამომართვათ არ მომპრათ კაცს თავი!

პერაქსილინ



კონტრ-საჩივრები

პირველი ნაბიჯი

თვის ბოლოს სამკითხველოს გამგემ საჩივრის წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო. სახე თანდათან ელუმინა, კალმის ტარი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა და შეუდგა კონტრ - საჩივრების წერას.

საჩივარი პირველი:

სამკითხველო არჩევსა ჰგავს. ვერასოდეს ახალ ყურნალ - გაზეთებს ვერ იპოვნი, რა საინტერესოა შარშანდელი ამბები. ამას გარდა პროლეტარიატს ესაჭიროება ჯანსაღი სიცილი. ჩვენ სამკითხველოს უქველად რამოდენიმე ცალი „ტარტაროზი“ უნდა ამშვენებდეს. გამგევ, მეტი სიფხიზლე...

მოწყენილი.

სამკითხველოს გამგემ შეიტანა კონტრ - საჩივარი № პირველი:

„ჩვენს სამკითხველოში მხოლოდ ცხელ - ცხელი გაზეთებია. თუ ვერ შესძელი ყოველდღე სამკითხველოში წასვლა, გინდება თავაზიანი გამგის შეწუხება ძველი გაზეთების მონახვაზე. ასე ბევრი „ტარტაროზი“-ს გამოწერა სწორედ სულზე მისწრება; სიცილით გაეძვირება... ყოჩაღია ჩვენი სამკითხველოს გამგე, ყოჩაღი, ვენაცვალე სულში.

მხიარული.

მეორე მხარე:

„სამკითხველოში საჭიროა მეტი სიწყნარე. აქ კი გამუდმებით გაისმის სიცილი - ხარხარი, გაჩაღებულია არმიყობა. გამგევ, მართალია იშვიათად აღებ სამკითხველოს, მაგრამ, იცოდეთ, სამკითხველო ცირკი არაა. გვესაჭიროება მეტი სიწყნარე და წესრიგი.

დაბალი.

გამგემ დასწერა (რასაკვირველია, მარცხენა ხელით) კონტრ - საჩივარი № მეორე:


„გამგევ, გახსოვდეს, რომ სამკითხველო სამარეს არ უნდა ჰგავდეს. აბა, რასა ჰგავს — ყველას ცხვირები ჩამოუშვიათ და თქვენი შიშით ხმას ვერ იღებენ. ან რა საჭიროა სამკითხველო დღე და დამ ღია იყოს. არ გვინდა თქვენ შინაურ საქმეებში ჩავერიოთ, მაგრამ როდის სკამ, ან როდის სვამ, სულ რომ ღია გაქვს სამკითხველო?

მაღალი.

საჩივარი მესამე:

სამკითხველო გვიგინური უნდა იყოს, აქ კი მუდამ ისეთი მტვერია, რომ ერთმანეთს ვერ ვხედავთ, ბოლოს და ბოლოს მოაშორეთ მაგიდას ეს ქუქუყიანი სუფრა.

ქოჩორა.



სამხრეთ - სლავის „თვითმპყრობელი“ ახწავლის თავის ფაშისტებს ფეხის აღმას — სიარულს.

კონტრ - საჩივარი № მესამე:

მართალია: ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია, მაგრამ ამდენი სისუფთავე ზედმეტია. პროლეტარიატი თავს უხერხულად გრძნობს; ეშინია გასანთალულ იატაკზე ფეხი არ დაუსხლტეს. სჯობს სულ არ იყოს სამკითხველოში თოვლივით თეთრი და გაკრახმალებული სუფრა რაც მოგ ვაგონებს ბურჟუაზიულ გემოვნებას; მუშას და გლეხს ვერ გაუბედნია იდაყვებით დაეყრდნოს ასეთ სუფრას, და თავისუფლად იკითხოს. მეტი უბრალოება, ამხანაგო გამგევ!

მელოტი.

საჩივარი მეოთხე:

მართალია ასეთ წვრილმანებზე თითქოს არა ღირს ლაპარაკი, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ჟურნალტბის საჭრედი დანა ძალზე დაბლადაუ-

ლია, ხერხს უფრო ჰგავს, ვიდრე დანას და თუ ახალი ჟურნალი გელირსა დაიფხრიწება.

გამხდარი.

კონტრ - საჩივარი № მეოთხე.

ჟურნალების გასაქრელად ასეთი ვალესილი დანა არაა საჭირო. საკმაო ტარს შეეხო, რომ თითები დაიჭრა. ასეთი დანა სამართებლის მაგიერობას გასწევს. არ ვიცით სამკითხველოში ვართ, თუ სადალაქოში.

გასუქებული.

გამგემ ჭირის ოფლი მოიწმინდა, კალმისტარი მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაიტანა და საჩივრებს და კონტრ - საჩივრებს მიაწერა: „მართალია ბევრი პირადი მტერი მყოლია, მაგრამ ისეთებიც აღმოჩნდენ, რომლებიც ჩემს ამაგს აფასებენ“.

სიძონადა.

„კ ა ლ ო შ ი ა ლ ე“

ზ ი ა თ უ რ ა

ქ რ ი მ ნ ე შ უ ლ ი
ზ ი გ უ ლ ი ო რ თ ე ჯ ა

„გ რ უ ზ გ ო ს ტ ო რ გ ის“ ს ა ვ ა ჯ რ ო, ს ა-
და ც თ ა ვ ი მ ო ლ ო უ რ ი ა უ ა მ რ ა ვ მ უ შ ტ-
რ ე ბ ს. ნ ო ჭ რ ე ბ მ ა ნ ა ც ნ ო ბ ე ბ ი ს ა თ ვ ის უ ჯ
გ ე გ ა დ ა მ ა ლ ე ს კ ა ლ ო შ ე ბ ი; დ ა ა ღ ე ბ ე ნ
ს ა ვ ა ჯ რ ო ს.

კოლია: (ჩეკის გამოწვევა) ახლა-
ვე, ახლავე, მოითმინეთ!.. (ვანიჩკას),
ბიჭო ცუფასთვის გადაინახე ერთი
წყვილი კალოში კიდევ, თორემ შორს
არის და ვერ მოაწევს. (ვანიჩკა ინა-
ხავს).

ხალხი: კოლია, აქეთაც მოგვხედ-
კაცო! რას გაჩერებულხარ მაგ ერთ
ადგილზე?

კოლია: ეხლავე, ეხლავე, ბარიშნა,
თქვენ რა ნომერი გინდათ?

ბარიშნა: მესამე, მესამე, ჩემო კო-
ლია. (უწერს ჩეკს და აძლევს).

ხალხი: კოლია, კაცო, აქეთაც მიე-
წიე პატარა!

კოლია: ახლავე, ახლავე! (ნახუ-
ცარს) ბატონო გერონტი, თქვენ რა
ნომერი გნებავთ?

ნახუცარი: თერთმეტი, თერთმეტი,
ჩემო კოლია.

ხალხი: კოლია, კოლია! „კაცო მგ-
იწიე აქეთ!

კოლია: ეხლავე, ეხლავე, (ვანიჩკას)
აკაკია არაა აგერ?

ვანიჩკა: კი, კი, აკაკიაა.

კოლია: რავე დავავიწყდა, ახლა,
აკაკიხა კალოშების შენახვა? „ბი-
ჭო, ვანიჩკა, გადაუნახე, თვარა უკა-
ლოშოთ დაგვრჩება.

ხალხი: ე, კაცო, კოლია, მოგვხედე,
იქამე ღმერთი!

კოლია: ახლავე, ახლავე.

ალექსანდრე: (მალაზიის გამგე, მო-
ვარდება ვანიჩკასთან). არიქა, თორ-
მეტი ნომერი კალოში მიშოვე საცხა
იყოს!

ვანიჩკა: ერთი წყვილია აგერ, მაგ-
რამ ვილაცა მუშამ აიღო ჩეკი და იმას
უნდა მიიკეთო.

ალექსანდრე: რას დავეძებ. უთხა-
რი ნომერი შემშლიათქო და სხვა
ნომერი მიეცი.

ვანიჩკა: კი მაგრამ ჩხუბს აგვი-
ტებს და..

ალექსანდრე: მეიტა აქ! არაათქვა
უთხარი, მორჩა და გათავდა. ჩემი კო-
ლის ძმისწულია აგერ გაჩერებული,
საპატიო პირი და უკალოშოთ ხომ არ
გაუშვებთ. (ვანიჩკა აძლევს უკვე გა-
ყიდულ კალოშს მალაზიის გამგეს —
ალექსანდრეს).

ხალხი: კოლია, კოლია, ე, კაცო,
გვაღირსე ეგ ჩეკი!

კოლია: (ვანიჩკას), ბიჭო, ვანიჩკა,
ბიჭოლა ჩემია აგერ უკან ეფიზო
კვანტალიანისა და შენი მტერია იმან

აქანე ვერ მოაწიოს. შენ დაგენაცვლე,
გადიხახე ერთი წყვილი ჩეთვიორტი
ნომერი. (კოლია ინახავს).

ხალხი: კოლია, გვიშველე რა(ცხა,
თვარა გევიტყულიტეთ!..

კოლია: ახლავე, ახლავე,

ალექსანდრე: (კოლიას გადაულა-
პარაკებს), ე, ბიჭო, მაკოა, „შუბლაძის
ქალი და უკალოშოთ არ დატოო.

ხალხი: კოლია, კოლია!..

კოლია: ახლავე, ახლავე!..

გოგია: შენ, ბიძია, თუთუყუშივით
გაიძახი: ახლავე, ახლავე და ყურად-
ღებას კი არ გვაქცევ!

კოლია: ნუ ყვირით, მოქალაქე!

ნესტორი: იმე, რავე ნუ ყვირით!

შენ, ბიძია, ნაცნობ - მეგობრები არ
დაგელია და ჩვენ, მართლა უკანონო
შვილები კი არა ვართ! ჩვენც მოქა-
ლაქენი ვართ. დახლოს ბოლოში რომ
დამდგარხარ, თუ სწორი კაცი ხარ,
აქეთაც გამეიწიე და ყურადღება მო-
გვაქციე!

კოლია: ნუ ყვირით თქვა, მე თქვენ
გელაპარაკებით!

რუსტამი: ნუ ღურო, ნუ ღურო!
როგორ თუ ნუ ღურო! შენ ზმაკასი
და მისცა, ბიცოლას და მისცა, ბარიშ-
ნა და მისცა, რატომ ჩემთან არ მოგ-
სა! შენთან სურსხული არ არის, შენ-
თან ნამუჟი არ არის!

ალექსანდრე: (კოლიას) კოლია,
აკაკია გიძახის.

კოლია: (ჩუმად ალექსანდრეს),
იმიზა გაღვივინახე ერთი წყვილი და
რალას მიძახის!

ალექსანდრე: მიდი, მიდი, ალბათ
კოლიზა თუ უნდა კიდევ ერთი წყვი-
ლი. (კოლია მიდის).

ხალხი: სად მიდინარ, სადა?

რუსტამი: არდაგედირსან ქოფოი-
ოლლი!

კოლია: ახლავე, ახლავე!

გოგია: არ შეიძლება, არა! ასეთ
მეგობრობას ადგილი არ უნდა ჰქონ-
დეს..

ხალხი: მართალია, მართალი! მო-
გვეციოთ ჩქარა კალოშები!..

ვანიჩკა: ახლავე, ახლავე!

რუსტამი: ახლავე, ახლავე!.. რო-
დის და ახლავე! ქართანქალა ქოფოი-
ოლი! (შემოდის კოლია).

ხალხი: ჩეკი, ჩქარა, ჩეკი!..

კოლია: ახლავე, ახლავე!.. (შემო-
დის მუშა, რომელსაც მოაქვს ფულ
გადახდილი ჩეკი და სთხოვს თორმეტ
ნომერ კალოშს. კოლია ეძებს და თორ
მეტ ნომერს და ვერ პოულობს. ვა-
ნიჩკას). ბიჭო, აქანა თორმეტი ნომე-
რი კალოში მქონდა გაყიდული და
რა იქნა, ნეტა?!..

ვანიჩკა (კოლიას ყურში):— ის მა-
ლაზიის გამგემ წაიღო.

**კოლია (დაბნეული იღებს ათ ნო-
მერ კალოშს და აძლევს მუშას):**— ა,
ბიძია, კალოში, მოკიდე ხელი.

მუშა:— ეს რა არის? რათ მინდა
ათი ნომერი! ჩემი კალოში თორმეტი
ნომერი იყო.

ვანიჩკა:— სულ ერთია!..

მუშა:— როგორ თუ სულ ერთია!..

კოლია:— არა უშავს რა. მოქერილი
გექნება ფეხზე და უკეთესია ტალახ-
ში აღარ ჩაგრჩება.

მუშა:— როგორ თუ მოქერილიაო!
მომეცი ჩქარა თორმეტი ნომერი! ფუ-
ლი გადავიხადე და ჩემი ნომერი სხვა
მიეცი?

ალექსანდრე:— ნუ ყვირი, ამხანა-
გო! აქ უჩრეუდენია არის და მე, რო-
გორც მალაზიის გამგე, არ მოგცემთ
უფლებას, რომ იყვიროთ.

გოგია:— როგორ თუ ნუ იყვი-
რებს! კაცო ჩეკი გამოუწერეთ, ფუ-
ლი გადაახდევინეთ და თქვენ კი
მისი თორმეტი ნომერი კალოში
თქვენს მეგობრებს გაატანეთ!

ალექსანდრე: — ტყუილია!..

გოგია:— მართალია. მე თითონ
უყურე დახლოს ქვეშიდან რომ გამო-
აღვინებ ვანიჩკას ერთად ერთი თორ-
მეტი ნომერი უკვე გაყიდული და
შენს ძმა-ბიჭს გაატანე.

ნესტორი: — ეგრე, ეგრე! ნამდვი-
ლი სატანტაროზო საქმეა. მე და ჩემ-
მა ღმერთმა!

გოგია:— ტარტაროზი კი არა, ჯო-
ჯოხეთშიაო რომ გადააყუდო, მაგათ
მანც ვერ მოაშლევინებ ძმა-ბიჭო-
ბას.

ხალხი:— მოგვეციოთ კალოშები! ჩე-
კი, ჩეკი!..

კოლია: ამხანაგებო! კალოშები
აღარ არის, გათავდა!

ხალხი:— ტყუილია, ტყუილი!..

რუსტამი:— დღეულია, დღეული!
მომესი ჩქარა კალოშები!

კოლია:— აღარ არის, ბატონო და
რა მოგცეთ!

გოგია:— სანამ იყო, ნაცნობ-მეგო-
ბრები არ დაგელიათ და..

კოლია: ტყუილია!

ხალხი:— მართალია, მართალი!

რუსტამი:— რა დღეულია! შენ
ზმაკასი და მისცა, მამიდაშვილი და
მისცა, ბიცოლა და მისცა, ბარიშნა
და მისცა! რატომ ჩემთან არ მოგსა?
ეშაქ ქოფოიოლლი!

კოლია:— გაიგონეთ ყურში, რომ გა-
თავდა!..


ხალხი:— ტყუილია, ტყუილი!

გოგია.



სოფელ ლახუნდარის სკოლაში

მოხუცი
ლიონიკა



— ბავშვებო, სვალ სასწავლებელში ნუ მოხვალთ..
 — რა უქმეა, მასწავლებლო, სვალ?
 — უქმე კი არ არის, — მე ხანადიროდ მივდივარ.

ვაჭრის პასუხი სოფლის კულაკს

წავიკითხე პავლეჯან
 მოწერილი წერილი.
 შენც ჩემ დღეში ყოფილხარ
 დაჩაგრული, დევნილი.
 მწერ წენ წარსულ ცხოვრებას,
 რომ შეძლებით ცხოვრობდი,
 მოგდიოდა დოვლათი
 და არაფერს შრომობდი.
 თურმე, ძმაო, გაიგეს
 ორპირობა, ფლიდობა,
 ხალხი აღარ გენდობა—
 ჩამოგერთვა დიდობა.
 იწერები— მოგწერო
 აქაური ამბები,
 ჩემი აწმყო—წარსული
 ჩემი გულის დარდები.
 როგორც მე ვარ პავლეჯან—
 ისე შენი მტერია,
 დოვლათიდან დავეცი
 ოჯახი ამერია.
 ცოლი გამიორგულდა
 ფაშფაშა და მსუქანი,
 დამეცალა ნელ-ნელა
 სამიკიტნოს დუქანი.
 ჩემი ყოფა-ცხოვრება
 აღარა დირს ჩაღაფა;

ვაჭრის ჭკუა არ ფასობს
 მწვანილ-შილაფლავათა.
 როგორც ძველი ვაჭარი
 შვე სიაში ვწერივარ;
 მთელმა ხალხმა გაიგო,
 რომ მე ამათ მტერი ვარ.
 კინო-კლუბით გაიგსო
 ეს ტფილისის ქალაქი,
 არტისტ-ორატორია
 მეპურე და დალაქი.
 შაბათობით მუშები
 სარდაფში არ ჩადიან;
 ყველამ ჭკუა ისწავლა
 და კლუბებში დადიან.
 როგორც ვხედავ ისობა
 კულაკი და ვაჭარი..
 სოფელში და ქალაქში
 აგვირია დავთარი.
 ლამის გაბალშეიკდეს
 ყველა ერი, ნაცია,
 ვერც ანგლია გვიშველის
 და ვერც ემიგრაცია.
 რაღა ბევრი მოგწერო
 ჩემი მოთქმა-გოდება,
 ჭკუაზე ვარ აფრაკად,
 ბევრი არ მაგონდება.

პეტან.

„ეჭიშვია მითხრა“

ჩარხველი
გიორგიშვილი

— საზოგადოდ, ნასწავლ ხალხს ყველას პატივს ვსცემ, და მით უმეტეს—ექიმებს, რომლებიც ადამიანს ხშირად არჩენენ სიკვდილისაგან.

მაგრამ ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ექიმები შემეჯავრდა.

დარწმუნებული ვარ, რომ ცოლ-ქმარის შორის უსიამოვნებას ექიმები მეტად უწყობენ ხელს.

აი, ცოცხალი მაგალითი! — და ჩემმა თანამოსაუბრემ ახლოს მოიწია და განაგრძო:

— ზაფხულზე, როცა იწყება წყლების სეზონი ცოლი მეუბნება:

— ტრიფონ, დღეს ექიმთან ვიყავი და მითხრა— „თუ ახტალაზე არ წადი, იცოდე დაკუნტდები და შვილიც არასოდეს არ გეყოლებო“.

ვაგზავნი ახტალაზე.
ვრჩები მარტოდ სახლში.

ბრუნდება ახტალიდან.
რამოდენიმე დღის შემდეგ ისევ გაისმის წუწუნები:

— ტრიფონ, დღეს ექიმთან ვიყავი და მითხრა — „თუ ეხლავე არ გაემგზავრე ბორჯომში, შენი საქმე გათავებულაო“... ვაი, რა შემველებო... ტრიფონ... რა ქენა გენაცვალე!

რა გაეწყობა! ვაგზავნი ბორჯომში, სადაც მთელი ზაფხული რჩება.

შემოდგომაზე ბრუნდება სახლში.

— მადლობა ღმერთს, — ვფიქრობ, — მომავალ ზაფხულამდე დავისვენებ.

— ტრიფონ, — მეუბნება ცოლი, როცა სამსახურიდან სახლში მოვდივარ. — დღეს ძალიან ცუდად გავხდი, წავედი ნერვების ექიმთან და მითხრა—თუ თავს კარგად არ მოუარე, გაგიუღებო!

— ამაზე მეტად! — ვფიქრობ, ჩემთვის და ცოლის ვეკითხები: — მერე ამისათვის რა არის საჭიროო?

— მშვიდი და უდარდელი ცხოვრება. სურვილის დაკმაყოფილება. კარგი სმა და ქამა... კარგი ჩაცმა—დახურვა... ხელოვნური კრებდისინის კაბა უნდა ვიყიდო...

— ექიმმა ვითხრა?

— ჰო, რაც მოგესურვება, ყველაფერი უნდა შეისრულო... ერთი ბრილიანტის ბეჭედიც მინდა...

— ექიმმა ვითხრა?

ჰო, ეს იმაში შედის—სურვილების დაკმაყოფილებაში... ხომ მიყიდი, გენაცვალე? თორემ გადავირევი და აი ამ მანიკურ-გაკეთებულ ბრჭყალებით დაგახრჩობ!

რა გამეწყობა! ვასრულებ მის მოთხოვნადას.

— გენაცვალე, ოთახის მილაგებას რა დიდი საქმე უნდა? ეს მაინც გქენა!—ვეუბნები ნაწყენი კილოთი ცოლს, რომელიც დივანზე წამოწოლილა და კატას ეალერსება.

— ნეტავი შენ... სად შემიძლია, კაცო, ოთახის მილაგება? დღეს ექიმთან ვიყავი და მითხრა, რომ—სახლში ხელი არ გაანძრიო. ყოველდღე თუ ერთი გირვანქა არა, ნახევარი გირვანქა მაინც მოკოლადი უნდა სქამო, რომ ჯანი მოგემატოს, თორემ ამ წელიწადს ვერ გააწევო... და მაშინ რა გეშველება, ჩემო ტრიფონ?!

— გავკეთდები, მოვისვენებ კაცი!—ვფიქრობ ჩემთვის და...

ვკიდულლობ მოკოლადს.

— გენაცვალე, ამდენი ძილი მოგკლავს!—ვეუბნები ცოლს, რომელსაც მთელი დღე სძინავს.

— ექიმმა მითხრა, ძილი მოგინდებო. რაც შეიძლება მეტი იძინეო... ძილი არ შეიკლოო... აღარ დაწევი და გვიან აღვიწეო.

— სადილოს საქმე როგორ არის?

— სად მქონდა, გენაცვალე, სადილის გაკეთების თავი!—და მაჩვენებს გაკრეჭილ თავს.

— ეგ რა გქენია? თმა რატომ შეიკრიჭე!

— გენაცვალე, ამისი მრვლის თავი მქონდა!

— ექიმს ხომ არ უთხრობია?

— აბა ისე რატომ გავიკრეჭდი? მიჩრია—გაიკრიჭე, თავში სიციხეს არ მოგკრებს და თავის ტკივილიც გაგივლისო...

— ჰო, მართლა ამელამც უნდა წავიდე ოპერაში, კონცერტი არის...

— კი, მაგრამ აკი ექიმმა ვითხრა, რომ აღრე დაწევი და ძილს ნუ მიიკლებო!

— ექიმმა მითხრა — თეატრში იაროეო. მუსიკა ნერვებს ამშვიდებსო... ძილი არაფერია, მოვალ და მეორე დღეს მთელ დღეს ვიძინებ.

— ასეა, ჩემო კარგო, ჩემი ცხოვრება— ამრიგობა ჩემმა მოსაუბრემ და მთხივა: — ერთი პაპიროსი მომეცი თუ კაცი ხარ.

— ჰო—და, — განაგრძო პაპიროსის მოკიდების შემდეგ, — ვფიქრობდი ზაფხულამდე დავისვენე — მეთქი, მაგრამ... ერთხელ მითხრა:

— ჩემო ტრიფონ, კი გაგამწარე; მარა ექიმმა მითხრა, რომ „თუ სიკვდილი არ გინდა, სამ-ოთხ დღეში აუცილებლად სოხუმში უნდა წახვიდე და აპრილის დამლევაამდე მაინც უნდა დარჩეო“... აპრილის დამლაგამდე არ ვჩივი, ხოლო მარტის დამლევაამდე კი აუცილებლად უნდა დავრჩე. შემდეგ დავბრუნდები და გაზაფხულზე როგორმე ორი თვით კისლაგოდსკაში წავალ და.. სამშუღამოდ გამოვჯანსაღდები. შემდეგ აღარ დამჭირდება თავის წუხება, რადგან მცირე მკურნალობაც მეყოფა—ქობულეთში და ჩვენს აგარაკზე წავალ სადმე...

კი, მაგრამ ფული სად არის?

— სსს... ჩუმად... ნერვები არ ამიშალო, თორემ ვაგიუდები და ამ ბრჭყალებით დაგახრჩობ... მეცოდები, მაგრამ რა ქენა, თავი ყველაფერს მიჩრენია. ამ ქვეყნად, ნუ გეშინია, მეორეჯერ ვერ მოვიდე...

— ღმერთმა დაიფაროს; ერთჯერ მოდი და ასე მაწამებ, მეორეჯერ რომ მოხვიდე, უარეს იზამი — დავაპირე თქმა, მაგრამ მართლაც ვიტივით აბრიალებდა თვალებს და აღერსიანად შევეკითხე:

— გენაცვალე, ექიმმა ვითხრა?

— ჰო, ექიმმა მითხრა! აბა კი არ ვსტყუი!

— კარგი, კარგი გენაცვალე. ეხლავე წავალ და ფულს ვიშოვი! — ვუთხარი და...

მას შემდეგ მე ის აღარ მინახავს. მე აქეთ წამოვედი და აქ მოვეწყვე სამსახურში. ალბად ვინმეს ვაპყვებ ცოლად... ვაი, იმ უბედურს, ვინც მას გადაეკიდა. ასეა, ჩემო კარგო... ეს ექიმები სულ გასაწყვეტია, თუ მართლაც ასე ეუბნებიან ქალებს. რომ ვიცოდე, რომელია ჩემი დამლუბველი ექიმი, მოვკლავდი... კარგ რამეს რატომ არ ურჩევენ ეს ექიმები ქალებს: „ქმარს მოუარე“, „ოჯახს მიხედე“... „იმუშავე“... „მომჭირნეობა დაიცავი“ და სხვა ასეთები?

— ექიმმა მითხრა... ჰმ... ერთი პაპიროსი კიდევ მომეცი და...

— მშვილობით ბრძანდებოდეთ! — გამომეშვიდობა თანამოსაუბრე და წაგიდა.



ქართული
წიგლისათვის

ერთად-ერთი



— რა ამბავია? ვინ არის ის კაცი, რომ ასეთ ოცდციებს უმართავენ?
— ეს ის კაცია, რომელმაც მთელი მოსტრეზა ისე მოსწონა, რომ ერთხელაც არ ჩამოხმინებია! აი, ამიტომაც უმართავენ ოცდციებს.

ი უ ვ ი ა თ ი უ ე მ თ ხ ვ ე მ ვ ა (ხ ა უ შ რ ი)

ი რ ო მ ე ნ ო ლ ი
ბ ი ბ ლ ი ო ტ ი კ ა



— რა ამბავია, კაცო, საითკენ გარბიხარ?
— ამბობენ — ზაქტბოს ფარდულს დღეს გააღებენ!

ქ უ რ ი ო კ რ უ ლ ი ს ა უ ბ ა რ ი

მთელი დღე დავებებოდი და „სატარტაროზო“ მასალას ვეძებდი, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვნახე საკაილო. დავინახავდი თუ არა თავშეყრილ ხალხს, მაშინვე იჭითკენ გავეშურებოდი, მაგრამ ჩემი მისვლისთანავე შესწყვეტდნენ ლაპარაკს და ზე ისევ ხელცარიელი ვრჩებოდი.

— დასწყევლოს ტარტაროზმა, — ვამბობდი ჩემთვის — შუბლზე ხომ არ მაწერია, რომ ტარტაროზკორი ვაი, რომ სიახლოვეს არ მიკარებენ ლაპარაკის დროს?!

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ თვალი მოვკარი ორ კაცს. მივუახლოვდი ჩუმად და ყური დავუგდე მათ ლაპარაკს:

— დიდი ხანია აქა ხარ?

— რა მოგახსენო, ჩემო ივანე! აღარც კი მახსოვს, როდის წამოვედი სახლიდან. რაცხა საუბედუროდ ამ საწირეში სარები ვიყიდე გენახისათვის. წასადებად ვაგონი გამოვიწერე, აგერ ორ თვეზე მეტია ვუყურებ, მაშინ არ შეგეპომოს ჭირმა — არსიდან არა სჩანს. ბარე ორ-სამჯერ ქუთაისშიაც ვიყავ „ადელენიაში“ და „ნაჩანიკ უჩასტას“ შეგებეწე; დამპაჩადა, მარა ჯერ კიდევ არაფერი სჩანს... ეს სარები ცალკე მიღებია, ზე ცალკე ვცდები... ტყველად გამიგვანის ვამოწერო...

— ბევრი მიეცი „ნაჩანიკს“ ვაგონის გამოსაწერი?

— რაო, რა გამოსაწერი?! ჩემთვის არაფერი გადუხდევინებია!

— არ ვიცი, ეს „ნაჩანიკი“ არ გამომიცდია... მარა ჩვენ ხრესილში გვყავდა „ნაჩანიკი“ აკაკი ჩიხლაძე, რომელსაც, თუ თითო ვაგონის გამოწერაში ორ-სამ თუმანს რა ჩაუჯიბავდი, ისე ვაგონს ვერ ეღირსებოდი... მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ძალიან რომ გაუგებრივლდა, ქრთამში აღებული ფულის ხრამუნე, ყველამ გაუგო; უჩივლეს, გაზეთშიაც და „ტარტაროზშიაც“ კი ჩააგდეს, მარა თურმე ვინცხა დიდი კაცი გამოუჩნდა და ქე გევიდა მშრალზე... მარა მერე ისე გათამამდა, რომ ქრთამი ტრესტის რწმუნებულ რ. წულაძესაც გამოართვა. აი, აქ მოიტება სამულდამოდ კისერი და თავი ციხეში ატუციეს. აჰა, სულ ყოველდღე რომ თვრებოდა და ქეიფობდა, კაის იხურავდა და იცვამდა და ოკრიბის პილსუდსკივით რომ დაიარებოდა, რაე მისი ჯამაგირი ეიტანდა ამდენს?!

— აბა მინდიაშვილისა და მის უფროსების არ იყოს, ალბად უფროსებსაც ქე ექნებოდათ ცოტა ბრალი! — სთქვა ივანემ.

— ეს მინდიაშვილი ვინაა? — ჰკითხა მოსაუბრემ.

— ვინ არის და, სოფელ გურნის კოოპერატივის ნოქარი. გამგეობა ყველაფერში ენდობოდა და ამიტომ ერთხელაც არ გაუყეთებია რევიზია: „გერასიმე პატიოსანი კაცია და გაქაფვას არ იკადრებს“-ო... ამითი გათამამდა გერასიმე და ყლაპა კოოპერატივის ფულები. ბოლოს შეეშინდა-გამიგებენო და, ერთხელ, როცა ფული წაიღო ჩასაბარებლად, გზაში გადაშალა 900 მანეთი და მილიციაში განაცხადა: „ყაჩაღები დამეცნენ“-ო... მარა არ გაუვიდა იშკილი. წავიდნ და ქე ნახეს გადაშალულ ფული, მარა 900 მანეთის მაგიერ ხუთასი იყო (ოთხასი „გაიემასექნა“, მოესწრო!). სკანჩეს ხელი და „ვირის აბანოში“ გაგზავნეს ცოდევისაგან გასაბანად.

— არ გყოლიათ, ბიძია პატრონი, და „უბატრონო ეკლესიას ეშმაკები დევსიო“, სწორედ თქვენზე ყოფილა თქმული! — გამოემშვიდობა და გზას გაუდგა.

— სწორედ მასეა! — დაუდასტურა ივანემ და მეორე მხარესკენ გადაუხვია.

ილირიკელი.

დ ა მ რ თ ხ ა ლ ნ ი



— სანამდე გინდა მანდ იყო?
— მინამ არჩევნები არ ვათავლებია!

დაწინაურება

ერთ დიდ დაწესებულებაში პატარა კაცი გახლდით, მაგრამ ჩემი ბედის მაინც კმაყოფილი ვიყავი. ცოტა უფროსებზე კი მომდიოდა გული, მარა ეს არაფერი.

ვნახოთ ერთ დღეს კრებაზე დამიბარეს.

გამიკვირდა. გამგის კაბინეტში ან შეშა, ან პაპიროსი და ან ბორჯომის წყალი თუ შემიტანია, თორემ ისე ფეხიც არ შემიდგამს... ეხლა კი აგერ სავარძელში გავიჭიმე და ყური დავუგდე მოხსენებას.

მოხსენება დაწინაურებას შეეხებოდა.

— ლადოჯან! — მომმართა მომხსენებელმა, რომელიც გუშინ ალბაცერად მიყურებდა და ჩხუბიც კი ამიტება „რატომ ფეჩი არ გააცხელე ძალზეო“.— ჩვენ შენი კაცად გამოყვანა გვინდა და ეხლა განყოფილების გამგეთ უნდა დაგნიშნოთო...

ვთქვი:— აგი ოჯახპორები ალბად მასხარად მიგდებენ-მეთქი.— და აქეთ იქეთ გავიხედე— ხომ არავინ იცინის-მეთქი.

მეორე დღიდან ჩამომართვეს დარა-

სოფლის ჩარჩის სიმღერა

თუ რამე ხალხს არ დავსტყუე რა გვეშველება ჩვენაო. კოოპერატივი წინ გვიდგას, (მაგას გაუწყრეს ზენაო). ისინი თუ არ მოისპო, არაა ჩვენი შველაო. ფილტვებში ჭლექი გაგვიჩნდა, დაგვაწყებინა სველაო. მუშტარი ყველა წავგართვეს — მეზობელი თუ ნათლია. გლეხები მტრულად გვიყურებს, არა აქვთ ჩვენი ხათრია. მათებრ იაფად რომ ვყიდოთ, თავნიც გაშყვება თანაო. ჩემივე ხელით ჩემს უელში როგორ გავისო დანაო. მუშაობასა ჩვეული არა ვარ თავიდანაო არასდროს მიმუშავნია, არ მქონებია ყანაო კუდის რიკამდე გავგაძვრეს ზურგზე და ტანზე ტყავია ეშხ, რასა ვიზამ მოთქმითა... დღე დავგიყენეს შავია.

ჭალარა.

ჯის სპექტანისამოსი და გამგეთ დამნიშნეს.

უნდა ესტქვა, რომ ბევრჯერ კბილებშიც გამომადინეს ოფლი, მაგრამ სიარტხელი მაინც არ მიჭამია.

ერთ დღეს ერთი კაცი მიტრიალებს ვარშემო, კაცი, რომელიც გუშინ ფოშტის ცხენივით მარბენინებდა ხან კონვერტზე, ხან პაპიროსზე, ხან მარკაზე და ხან ცივი წყლების მოტანაზე... იცით რას მეუბნება ეს კაცი— პატივცემული ჩემი ყოფილი უფროსი? — ლადოჯან, თუ არ გეწყნება ამაღამ წვეულება მაქვს და შენც უნდა მეწყვიო“.

მართალი გითხრათ — მტერის ეინზე ვეწვიე და...

წვეულების გათავებამდე ასისტენტით დინჯად მეჭირა თავი.

ამით ვათავებ ჩემ ამბავს და გაშობ, რომ ზოგის წარმოდგენა, დაწინაურება ჩემისანა მუშებისათვის თითქოს წარმოებისათვის საზიანო იყოს, სიცრუეა. არც ისეთი „დიდი პროფესორობა“ ყოფილა საქირო, რომ მუყაითმა მუშამ ვერ შესძლოს საქმის გაძლოლა. თუ დაწესებულებაში არავან გადაგმტერა, ყველაფერს შეიძლება და შეისწავლო.

ქმედი...



ქართული
ბავშვთა

ჯღჯღსათის კუთხე



რომ წავიდა მარგარა... გვეჩვენე ცრემლი დაღვარა

რასაკვირველია, სადღ. ფოთის მოღალაჩე ვარგარა გორგილაძეს უხაროდა, რომ ის ტფილისში გადმოიყვანეს, მაგრამ ამ ამბის გამო ფოთში ბევრი ცრემლი დაიღვარა, და კიდევ უფრო მეტი—ღვინო.

რა ეშველება აწ ჩვენს ფოთს—
რომ შენ შორდები მასაია.
ტფილისში შენი გადასვლით
დაიბლდა ჩვენი მასაია.

(„ვერანა“)

ასე მიმართა ტოლუმბაშმა (პროკობი), რომელსაც ხელში ორი ყანწი ეჭირა, სადღურის უფროსმა შეაჯივრებინა, რომელიც ინიციატობდა ამ „სამგლოვიარო შეიშს“, ველარ შეიკავებ ცრემლები, გული ამოვსკენს და აღბად კიდევ წაუვიდოდა (გული), რომ ამ დროს... შია შევლეს საესე ყანწი და ისევე „მოაბრუნეს“.

ფლობელმა მატარებელმა მოაყვირა სადღურს. ეს ნაშანი იყო, რომ ქეიფი შეწყვეტილიყო და ვარგარა ტფილისისაკენ გამომგზავრებულიყო...

და სადღურში ვაიმართა
სიმღერა და თამაში...
(ნეტავ ვინმე თუ კი ვინმეს
მასუხს მოსთხოვს ამი ვინა?)

ჭუთაისი და ფოთი... არის ჩხუბი და ფოთი.

კარგ ხასიათზე არიან ქუთაისის კერძო ეპტრები (თეგზის). რატომაც არ იქნებოან! მუშკოაბის თევზეუ-ფოთის მალაზიას ვეებერთელა ბოქლომი ადევს. კომ ფლიქტი, რომელიც არსებობს ქუთაისისა და ფოთის მუშკოაბს შორის, ისე მწვავე ხასიათს ღებულობს, რომ.. მოსალოდნელია საკითხი ერთა ღივას გადაეცეს. ქუთაისსა და ფოთს შუა ნოტების გაცვლა-გაშოცვლამ ვე რაფერი შედეგი გამოიღო. (ზლისტი).

ამის შემდეგ, არც გასაკვირია, რომ საეპტროში მო-მწყველელი თევზები „თავიდან აყროლდეს“. მართლაც „თევზი თავიდან აყროლდება“ და მით უფრო ადრე, რადგან ასეთი თავები განაგებენ (აღბად, მესვეურთა თავს უკვე შეჰპარვია ეს სენი, თორემ რა სჭირდა დასა-კეტი მუშკოაბს!).

ამ ვინ არის ბრალში, ფულს რომ მარინა წყალში

ტვ. ადგ. მრეწველობის განყოფილებამ დიდუბეში მარინაშინ გახსნა ხე-ტყის ქარხანა... იყო საწყობი და საწყობში მასალები, რომლებსაც ჰყარაულობდა დარა-ჯი... ეს მასალები, დაიხარჯა—აშენდა ქარხანა, მაგრამ დარაჯი ეხლაც სდგას ცარიელ საწყობის კარებთან და ყარაულობს... რას? სიცარიელეს... საწყობში თავი თუ გაიჩინეს გზადგვა, თორემ სხვა შიგ არაფერია.

აღბად ცარიელ საწყობის კარებზე ჩამოკიდებულ ბოქლომს თუ დარაჯობს ყარაული, რომ არავინ მოიპა-როს!

ასე უფრობილდებიან სახელმწიფო ქონებას (ბოქ-ფოთს), რომლის დარაჯობა თვითურად ჯდება 240 მანეთი.

ჩამოთ მიამხს კარაქი... არ გმგონოთ არაქი

მუშკოაბის ცენტრ. საწყობში № 9-ში ქურდობაში დაიჭირეს თანამშრომელი დონდუა, რომელსაც ჩეჩე-ბით გაჰქონდა კარაქი და სხვა პროდუქციები.

მაგრამ საქმე ისე მოაქსხრაკეს, რომ „თითქონ დონ-დუა მთვრალი იყო და სიმღერაფეში ქურდობა ყაცს ემაშინებოთ.“

—აი, სწორედ ასეთ შემთხვევაში იტყვიან: „კაცი რა-საც სიფხიზლეში ფიჭობს, იმას აკეთებს სიმთვრალე-ში“.

აღბად სიფხიზლის დროს დონდუა ისეთი ფხიზელია, რომ ნაქურდალს ვერაფერ დაუჭირავს.

ივანე და პავლე გამსახლავი თუ წავლენ?

ლექსი ოთხი სტრუქტონი ივანე მჭედლიძეილსა და პავლე ხუნდაძეს შესახებ, საესეებით ახასიათებენ ამ ვაუ-ხატონებს:

ცა ქულათ არ მიანდათ
დედა-მიწა — წალათო,
გლენებს ეუბნებოდენ:
„თქვენ ბრიყვებო, რა ხართო?“

ცემა-ტყება, ჩხუბი-დავა და აყალ-მაყალი—აი, ამ ვაეხატონების ყოველდღიური საქმიანობა ქვემო-ქალის რაიმილიციის სფეროში.

ზოლომდე მეგობრებად და „პირის-ზიარებად“ და-რჩებოდენ ერთმანეთისათვის ეს „ტარიელები“, რომ რევიზია თავს არ დასხმოდა და...

და ერთმანეთს წაენხუბენ:
„შენ შესჯამე მეტი ფული;
კარგი იყო, როცა ყლიამ
ჩახოხბილი, მოხრაკული?“

ტყვილად ჰგონია ხუნდაძეს, რომ მას უშველის „დი-დი მამია“, რომელიც ცენტრში ჰყავს.

„საბგო, უაგოგასია, ვიღრა ყრუ ეკლესია“

ეს სიტყვები ეკუთვნის ნაღიაკენარ მარგატიას, რომ-მელიც პატარა ფოთის აღმასკომის თავმჯდომარე გახ-ლავთ.

არც ისე შეუბრალებელი და უძლური ყოფილა ღმერთი, რომელსაც გ. მარგატია თავყვანს სცემდა მთელ თავის სიცოცხლეში, როგორც ეს ურწმუნოებს ჰგონიათ ღმერთმა ისმინა მარგატია ვედრება:

დიდი ხანია უფალა
ერთგულად გემსახურები.
ხალხს მქონდა გამოკედილი
„მამაო ჩვენოთ“ ყურები...
ესლა მომეცი წყალობა —
ხაბტოში შინდა გაძრომა,
ამდენ ხნის ნამშვირცხა,
იქ მეღირსება გაძლომა.

აღბად, მართლაც გაძლო ამდენხანს და ეხლა კი სა-კირთა მისი დასვენება, რასაც უყურადღებოდ არ დას-ტოვებს ახალი საბჭო.

„ტარტაროზი“-ს

შ ე მ დ ე ბ ი ნ ო მ ე რ ი

ს კ ე მ ი ა ლ უ რ ი ა

ს ა ა კ რ თ ე ე ლ თ ს

გ ა ს ს ა გ ე ლ ე ზ ე - ზ ე

„ტარტაროზის
შემდეგი ნომერი (9-1933)
გამოვა კვირას. 24 თებერვალს



საპტრედიკა

ერთგვლ მხოლოდ სიტუაციებში
გულმა იგრძნო შეგება.
სიზმარივით გადიარა
მწარე მოგონებამ.
ცეცხლოვანი გამოხედვით
ვმორიდებოდი როცა —
ტფილისისა არე-მარემ
მე გზა დამილოცა.
საპტრედიკის საყუდისა.
გავხდი ინტენერია!
შეიცვალა ყოველივე —
დღეს ვარ ყველაფერა.
რა გქნა, როცა ბავშობიდან,
დამყვა ზნე და სენი!
ამაყობას ჩვეული ვარ,
თუ ვარ განაწყენი.
მიყვარს ტუქსვა, ისიც მხოლოდ
გულის გასართობად!
(რასაც ვამბობ სინათლეა,
შენმა მზემ ია მძობამ)
ამ წუთიერ ქვეყანაზე,
რა შემჩრება მეტი! —
მუშები რას დამაკლებენ,
თუ კი მწყალობს „ღმერთი“.
მამ, წინ ნიჭო, შუქ-მოსილო,
წინ, წინ გამიძებია! —
ნათქვამია: სიმძლავრესა
სძლეეს ხანდახან ხერხი.
მუშა იდგა ოცნებით და
ფიქრით თმა-გაშლილი! —
(იქნებ ვინმემ „დაარიგოს“,
გრიშა ტატიშვილი)...

ჭავჭავი ბზიკი.

ს ა ბ უ რ თ ა ლ ო

უ ც ხ ო

მე ტარტაროზ ვის სმენია მსგავსი საქმე ამისთანა?
(ლამის ამის შემყურება გამოვისო ყელში დანა).
„კამპანია“ აღარც ერთის აქ არ მიდის არ გვდევს თანა.
ამაღა მოწოდება: „ძილის დროა ეხლა განა?“
არჩვენებო მოახლოვდა, გული ზალისით აღივსო.
მამა ონოფრე კი სტირის: „ალაპი აღარ არისო.
გამიხმა კუჭი მსუქანი, აღბათ სიკვდილი მელისო;
ფოფოდის აღერსს მოაკლდე ივალგებს ცრემლებად წველისო.
ვაჭარ ბეხოს სქელი ღიბი დაუარდა, ჩაუფუყდა;
ავონდება — წამი ტკბილი სახადილოს წინ რომ ყუყდა.
დააქვს ჯიბე გავრეტილი, აღარა აქვს გროში, სურდა;
საბჭოებში ველარ შეძვრა, თუ მცა გულით ძან სურდა.
სხდომებს ანტი-რელიგიურს არ მართავენ. რისთვის ნეტა?
მოთავენი ამ საქმისა ხად წავიდენ? ვინ წახვეტა??.
ალკოგოლიზმს არვინ ებრძვის — ლეო, ნინა, არც ანეტა.
(მხიარულად კი არიან უკრთით თვალნი ვით პლანეტა).
მუშეოლობის კარებთან სდგას წევრი — არა წევრია.
შიგნით ვერ შევლენ, ტანჯვას კი ვერ იტყვის ენაც მქევრია.
ამბავი საბურთალოსი მძობი-ლა ესდენ ბევრია,
რომ ლამის ერთობ დაფაროს ქალაქის მთელი ტევრია.

თათრი წყარო. (ტფ. მაზრა)

პედაგოგი თედევას
სხვანაირად უფეთქს გული.
ამ ბოლო დროს მოწაფეებს
შეაყვარა საღვთო სჯული.
ელსადგური მძლავრი არის,
ის მუშაობს წარა-მარა;
ვერ ანათებს ღამით ქუჩებს,
თუ კი ტოკი გაუბარა.
კერძო ვაჭრებს ნუ იკითხაჲ,
ნეტარება აქვთ მათ სრული —
ნალოგები დააწერეს,
კიდევ მაინც უდგათ სული.
ბევრი აქა კულა-ბზიკობს,
ყველგან ხელებს აფათურებს,
აწ შენ იცი, ტარტაროზო,
თუ აუწევ ასეთს ყურებს.

ღონ — მრია.

ვ. სორტილი.

გეგმა - ში

გ ლ გ ი (მუთაისი მარტა)



— შენ ხარ ცოლიანი ხარ?
— მგერ და რა მოხდაო! ეს ქალი თანახმა გამოხეცეს, შენ რა გადარდებს!

გვესტუმრე ერთხელ, ტარტაროზ, —
მაგრამ ჩამოდი ფრთხილად,
რადგანაც გზები გომისა
გადაქცეულან თხრილად.
თორემ თუ მარცხი შეგვემთხვა,
(ვაი, დავედგეს თვალთა!), —
ჩვენი ექიმი კოსტავა
მუღამუჟას არის მთვრალია.
ნახოთ, იქნება, შემთხვევით
პუნქტზე ფერშალი ბენია!
თუ გიცნო — ვერ დაგიყვრებს,
მოერიდება შენია...
და თუ კი ხიფათს ვაღარჩე,
(ეს სასწაული დიდია!), —
„პატარას“ წყალში ვაივლა,
ზედ რომ არ არის ხილია...
და იქ დაგბეღებთ გლუბკოშის
შენობა ერთობ დიდია;
დაკეტილია ყოველთვის
ქარზე ბოქლომი ჰკილია.
ერთდე კოპერატივსა,
შეგ ნოქრობს სოკრატ ყმელია.
მას მაღლიერი არა ჰყავს
მცხოვრებთა მეოთხელია.

კულუმბერი.

მწარე შედეგი

(გომანური, ოზურგეთის მარტა)

(ივ. კალანდაძის სიმღერა)
ახლა რა ყოფაში ვარ?
ვაჰ, რა დღეს მოვესწადი!
ალარ შემოჩა მე სუფთა
პერანგი და ზეწარი.
ამაოდ ჩამიარა
შავ სიიდან დაძვრენა.
ტყვილად კვრივე კბილები,
ვატრიალე ეგ ენა.
გლებებს ვეფიცებოდი
ერთგულება - ძმობასა
ქირში, ლხინში, ყოველთვის
შველა - თანაგრძობასა.
არჩევნებში დაჯრანვე
ჩემი მომხრე პირები:
საარჩევნო სასწორზე
მქონდა მიძიე გირები.
დავრანვე და იმედი
მათაც არ გამიმტყუნეს;
„საბჭოში გესურს ივანე“ —
ერთხმად დაიგუგუნეს.
და კრებაზე თითები
აიწია ზე-მალლა.
(ქბალი არის — საბჭოში
რომ გავძვერი მე ახლა)...
მაგრამ როცა დათვალეს,
შედაარეს თეთრს შავი —
შედაარების შედეგი
დარჩა გულიც საკლავი.
ჩამიარა: პურ-ღვინო,
პატიყი და ბანკეტი...
განა დირდა ამდენად
ამას მიღება თერთმეტი?

გომანური

ტრაქტორის გოდება

(გომანური, ოზურგ. მარტა)

ადგილობრივ კოლექტივს აქვს ტრაქტორი, რომელიც მოუვლელობის გამო ფუჭდება.

შხანკალი.

ვაი, რა დღეში ჩავარდი,
სად ვგდივარ სადაურიო?
შარშან ბიჭბუჭებს ჩამივდეს,
ხეს მივამტვრიე ყურიო.
წრეულს ამკიდეს სახერხი,
ეწვეები, ვიხრაკებო.
შუა გამიტკლიკეს ცილინდრი,
აწ როდის გავმრთელდებო.
გუთანი, სათეს-სამარული
და ჩემი ნაწილებიო —
ქუჩაში ყრია, ტალახში
გით ოხერ-პარტახებო.
გლებები სახნავს თხოულობს,
ვინ არის გამკითხავიო.
ბაჩა იყიდა სესხითა
სეირნობს გამე თავიო.
ავი ენები ამბობენ:
ანგარიშს თავი სტკივაო...
რევიზიაზე არავინ
აღარაფერსა სჩივაო.
მიხაკო გულზე გასულა —
ტყვია უჭირავს ხელშიო: —
ნოქარს დაადვა ნაგანი
კილამ გასწყვიტა წელშიო.
საქმე არ წავა კარგად,
ტარტაროზს ვენაცვალეო,
თუ შენებურად კოლექტივს
არ მოეშველე მალეო.

შხანკალი.



ც ნ ო ბ ა თ ა ე ი ლ ე ბ ა

ხუშუნდარის (ბორჯომი): თქვენს „ბედნიერ უბედურებას“ უბედური უბედურება შეემატება — წაკითხვის შემდეგ გოდორში „გადახრილდა“. თქვენს წერილს არც კი სწყენია ეს ამბავი, პირიქით, გაუხარდა: „რომ დაგებუდეთ, წამოკითხავდნენ და შემოკვებოდნენ. მართალია, ჩემს ავტორს არა სცხვენია ჩემი უფარვისობა, მაგრამ მე ხომ მასავით უსიროცხვილო არა ვარ“—ო! — გვითხრა თქვენმა წერილმა, მაღლობა გამოგვიცხვინა და პირველად ის მოექცა გოდორის ფსკეროს (თქვენ გგონიათ—მართლა უფსკეროა ჩვენი გოდორი?).

ძველს (სახხერე): აქ საკვირველი არაფერია, თუ კი „ქალწულ“ მარიამს შეეძინა ქრისტე, რატომ არ შეიძლება ზაბახიძის ქვრივსაც შეეძინოს სხვა ქრისტე და მით უმეტეს, როცა მასაც მარიამ ჰპრქმევია?! განა ასეთი ქრისტეები ცოტაა? მერე რა ვუყვით, რომ მარიამ ვიძახის:

ხალხნო, მოდიოთ და თაყვანი მეცით,
ღვთისმშობელი ვარ მარიამ ქვრივი,
და მომიტანეთ: შესაწირავი,
ფული, თაყვანი, ძღვენი, არჩივი..

აღზად, სოფელმა კარგად იცის, თუ ვინ არის ამ შემთხვევაში. „იოსებ ღურგალი“ და არ წამოეგება მარიამის ანკესზე.

ვიკოს (სვირი): ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გამგე სერგო ხოხიაშვილზე გვწერთ, რომ „სამსახურში გვიან მოდის და ადრე მიდის; ამის დასაფარავად ის საათის ისარს წინ და უკან აქანებს საჭიროების მიხედვით-ო“.

შემდეგ უძღვნიოთ ასეთ ლექსს:
ტარტაროზო, მოდი,
ინახულე სვირი
და ჩვენს ფოსტის გამგეს
მომამტვრიე ცხვირი.

ეს ერთი კუბლეტი დაგებუდეთ არა მისათვის, რომ ცხვირი მოვამტვრიოთ გამგეს (ამისათვის მილიცია პასუხს მოგვთხოვდა), არამედ იმიტომ, რომ სვირი-ცხვირი კარგი რითმაა.

აპ. წიფლავეკელს: ასეთი ლექსით ვერც სატრფოს შეაყვარებთ თავს და ვერც ჩვენ შეგვიყვანოთ შეცდომაში.

წინააღმდეგ შემთხვევაში
თავს მოვიკლავ შენს ბარაზე,
და უდროოდ მიწა შემგვამს
დამარხულსა შარა-გზაზე.

ო, ეს სტრიქონები მართლაც ისეთი მგონობიარე და ბევრის მეტყველია, რომ, არა თუ ქალის ცივ ქულს, თვით მყინვარსაც კი მოაღხობს და გაათბობს.

ყოველ შემთხვევაში, თუ თქვენ სიტყვის კაცი ხართ და მართლაც მასე იზამთ, როგორც იმუქრებით, ესე იგი თავს მოიკლავთ,—შარა-გზაზე მაინც არ დამარხავენ. ამის შესახებ უკვე გაფრთხილებულა სანიტარი.

ვალის: გარკვევით არ იყო ბრალდება დასაბუთებული.

მესანგრის (ბულუხაური): კიდევ კარგი, რომ ესლა ზამთარია და არა ზაფხული და ბუზები არ არის...

ვალერის, მოხეს, ლადიკოს,
რომ დაუღიათ პირია,
ქონ-სამკითხველს გამგეა,
სამივე სპეცი გმირია.

გამგეების ასეთი სიმრავლით აიხსნება, რომ სამკითხველს შეწონა ჯერ კიდევ დაუმთავრებელია.

ულაშას (ხიდისთავი): პირველად გვესმის, რომ ხიდისთავში დებო იყოს. კაცმა, რომელიც პოეტობა-მწერლობას ჩემობს, უნდა იცოდეს, რომ:

ღვკო სხვაა, მკო სხვაა,
შუაში არის დიდი ზღვარი,
(და ამიტომ დაბეჭდვან
ამ თქვენს წერილს ეთქვა უარი).

ძველს (გუგუნიყაუთი, სენაკის მაზრა): ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ თქვენ სწორდით სიმონზე:

ნოქარია ძველის-ძველი,
სოფელს სწუწის, როგორც ყველსა,
ბავშვებს წონით ატყუილებს,
და არ აკლებს ქალებს ხელსა.

აწ მგონი გამგეობაც მიხვდება ამას და გამოასწორებს ნაკლს.

ბატის ჩინჩაშვს (ქ. ხონი): ბატი რა არის და მისი ჩინჩაყვი რაღა იქნება! ისე-და ამ თქვენი წერილის მონელება ბატის ჩინჩაყვს თუ შეუძლია, ან და ჩვენს უფსკერო გოდორს, თორემ სხვას არავის.

თქვენი მესტირული ასე თავდება:

ახალ კალაშსა შევიძენ
მელანს ჩავახამ შუშაში,
თან ტკბილად დამეძინება
მეორე მუშის მოხვლაში.

თქვენ გგონიათ — კალმის სახლზეა ლექსის შეთხზვა დამოკიდებული? მასე, რომ იყოს, მაშინ რა გიჭირდათ. ჩვენ კი ასე გირჩევდით: ნუ აფუქებთ კალამს, სხვას გამოადგება.

რაც მართალია მართალია: „ტკბილად დამძინება“ სჯობია ასეთი ლექსის წერას (და მით უმეტეს—განსილვას!).

სასნიძეს: რა ექნათ, შევდივართ თქვენს მდგომარეობაში და გვეცოდებით, მაგრამ განა შეიძლება ამ ლექსის დაბეჭდვა:

საცოლომ მითხრა — წაგყვები,
არ მინდა რომ შეგაშინო,
თუ შენს ლექს ვნახავ დაბეჭდილს
„ტარტაროზოში“ მაშინო.

სხვა ხერხს მიმართეთ, თორემ აქედან ხეირი არასოდეს გამოვა.

„აზინუს“: — თქვენ ძალიან მოგწონთ თქვენი ფსკვლინიმი — „ყური მოვკარი ამ სიტყვას და ისე მომეწონა, რომ ფსკვლინიმად დავირქვი“-ო.

მართალია: ყველაფერს თავისი შესაფერი სახელი აქვს და ამ შემთხვევაში, შეიძლება თქვენი არჩევანი და გეზონება თავისთავთან შეფარდებით გამართლებულა, — მაგრამ ჩვენ მაინც ეჭვი შეგვდის, რომ თქვენ იცოდეთ ამ სიტყვის მნიშვნელობა; ეს სიტყვა ლათინურია და ნიშნავს — ვირს.

ფიძრის-გორელს: — თქვენი წერილი ასე თავდება: „აფრინეს ალალო, რაც არ არის, არ არიო“... შე კაი კაცო, ეს თუ იცოდი, რატომ სწერდით ამ წერილს?!

მიხაილ ვალის პირელს (ქ. ახალი-სენაკი): მართალია, ხელმოუწერელ წერილს არ ვებეჭადვთ, მაგრამ ეს წერილი ხელმოწერილი რომც ყოფილიყო მაინც არ დაგებუდვდით. აბა, მკითხველმა გასაჯოს — დასაბეჭდიდა ასეთი ლექსი:

არა აქვს ვითა საქათმეს,
კარები უფარგისია;
მოწაფებზე სიცვიით
კანკალებს ვითა ვიჯია.

უფლება-აჭრილნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლონი

ღმერთი:—რა აზრებია რამ დაგაღონა, ზოხიშე?
 — რაღა რა აზრებია, ყოველს შემძლებელია, შავ სიაში ჩამაგდეს!
 — 38! შენ კიდევ დარდობ, როცა სიაში მინც ყოფილხარ? დარდი ჩემი სთქვი, რომ საზოგადოდ ყოველ-
 გვარი სიიდან ვარ გამორიცხული, თორემ...